პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 253 (10029) | კვირა, 24 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ განხორციელდეს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესება, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცება!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს!

2. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას!

3. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

4. ყველა ქვეყნის მშრომელებო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას!

5. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა მძლავრ მოძრაობას! ყველა ქვეყნის მშრომელებო, აქტიურად იბრძოლეთ ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის.

6. ყველა ქვეყნის მშრომელებო იბრძოლეთ ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვისათვის, შეიარაღების საყოველთაო შემცირებისათვის!

7. დაე განმტკიცდეს ხალხთა სოლიდარობა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, აგრესიული სამხედრო დაჯგუფებების შექმნის წინააღმდეგ ბრძოლაში!

ევროპის ყველა ხალხის მტკიცე მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროებისათვის!

8. ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით იბრძვიან სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!

9. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით იბრძვის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალიზმის საფუძველთა აშენებისათვის!

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა — მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრი ფაქტორი!

10. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირ ხალხს, რომელიც იბრძვის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიულ საწყისებზე კორეის ეროვნული გაერთიანებისათვის!

11. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირ ხალხს, რომელიც იბრძვის მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, თავისი სამშობლოს სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის!

12. სალამი გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალებს, რომლებიც იბრძვიან დასავლეთ გერმანიის მესამე მსოფლიო ომის კერად გადაქცევის დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ!

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის ბრძოლის საიმედო ბურჯს. დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს გერმანიისა და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა ევროპის მშვიდობის განმტკიცების საკეთილდღეოდ!

13. დაე გაფართოვდეს და განმტკიცდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ!

14. ძმური სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

15. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას მათს ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, ომის თავიდან აცილებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

16. დაე განმტკიცდეს მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საფრანგეთისა და იტალიის ხალხებს შორის მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ევროპაში კოლექტიური უშიშროების შექმნისათვის!

17. სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი სამშობლოს დემოკრატიული განვითარებისათვის, იაპონიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ იაპონია გადააქციონ იმპერიალისტების სამხედრო პლაცდარმად შორეულ აღმოსავლეთში!

18. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევ პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

19. საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებო! გულმოდგინედ აიმაღლეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, აუმჯობესეთ თქვენი საბრძოლო ოსტატობა, დაეუფლეთ ახალ ტექნიკასა და იარაღს!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს გამარჯვებათა დიდებით მოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე!

20. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის!

გაუმარჯოს პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

21. გაუმარჯოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს — საბჭოთა წყობილების ურყევ საფუძველს!

22. გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ მეგობრობას — მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროს!

23. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ განხორციელდეს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესება, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცება!

24. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მიაღწიეთ ახალ წარმატებებს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში! გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო მოძრაობის შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის — სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძვლისათვის!

25. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოსტატებო! იბრძოლეთ ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებისათვის! გამოავლინეთ და გამოიყენეთ წარმოების ახალი რეზერვები! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

26. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მიაღწიეთ იმას, რომ ყველა შახტი ასრულებდეს საწარმოო გეგმებს, დანერგეთ წარმოების ორგანიზაციის ციკლური მეთოდი! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი შახტები და ჭრილები, აითვისეთ მათი საპროექტო სიმძლავრეები! მეტი ქვანახშირი სახალხო მეურნეობას!

27. ნავთობის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ნავთობის ამოღებისა და გადამუშავების გადიდებისათვის, უფრო ფართოდ დანერგეთ ჭაბურღილების ბურღვის ჩქაროსნული მეთოდები! უფრო სწრაფად აითვისეთ ნავთობის ახალი საბადოები და აშენეთ ახალი ქარხნები! მეტი მაღალი ხარისხის ნავთობი და ნავთობპროდუქტები!

28. საბჭოთა მეტალურგებო! აუმჯობესეთ მეტალურგიულ და სამთამადნო საწარმოთა სიმძლავრეების გამოყენება, სრულჰყავით წარმოების ტექნოლოგია! მიაღწიეთ იმას, რომ თვითეული საწარმო მთელი ნომენკლატურით ასრულებდეს გეგმებს! მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი ლითონები მივცეთ ჩვენს ქვეყანას!

29. ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყოველი ღონისძიებით გაადიდეთ მაღალი ხარისხის მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოება! გამოუშვით მეტი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი მოსახლეობისათვის.

30. ელექტროსადგურების მუშაკებო! უფრო სწრაფად აამუშავეთ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეები, ფართოდ დანერგეთ მოწინავე ტექნიკა!

31. მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გააფართოეთ ახალი მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის წარმოება, გააუმჯობესეთ მათი ხარისხი! მტკიცედ იბრძოლეთ ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვების გადიდებისათვის!

32. ქიმიის მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ მინერალური სასუქების, მაღალხარისხოვანი საღებავებისა და სახალხო მეურნეობის სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის!

33. მშენებელო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო და კულტურული დაწესებულებანი! შეამცირეთ მშენებლობის ღირებულება, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

34. საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ცემენტის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების, დეტალების, ყველა ნაწარმისა და მასალების წარმოება! გამოუშვით მეტი მაღალი ხარისხის საშენი მასალები ჩვენი სამშობლოს მშენებლობებისათვის!

35. ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ხე-ტყის დამზადება და ქაღალდის გამომუშავება! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, მთლიანად გამოიყენეთ მექანიზმები, მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ხე-ტყის მასალა, ქაღალდი და მაღალი ხარისხის ავეჯი!

36. ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის მუშაკებო! გამოუშვით მეტი კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილები, კოხტა ტანსაცმელი, მაგარი და კოხტა ფეხსაცმელი და მაღალი ხარისხის სხვა საქონელი! გააფართოეთ პროდუქციის ასორტიმენტი, მეტი მომჭირნეობით გამოიყენეთ ნედლეული! უზრუნველყოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობა!

37. სასურსათო საქონლის, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააფართოეთ სასურსათო საქონლის წარმოება, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი! გამოუშვით მეტი შაქარი, ცხიმეული, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტები მოსახლეობისათვის!

38. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზჭერა, განავითარეთ მეთევზეობა, გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი! უკეთ გამოიყენეთ სარეწი ფლოტი და თევზჭერის იარაღები!

39. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მარცვლეული, რძე, ხორცი, მატყლი, ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები!

40. კოლმეურნეებო! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება და განამტკიცეთ შრომის დისციპლინა! შეისწავლეთ და ფართოდ დანერგეთ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! უზრუნველყოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცება, კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება!

41. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! მოიყვანეთ ყველა კულტურის უხვი მოსავალი! დაუცხრომლად იბრძოლეთ მარცვლეულის მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის! გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისებისათვის, 1955 წლის უხვი მოსავლისათვის! მივცეთ ქვეყანას დამატებით ასობით მილიონი ფუთი მარცვლეული!

42. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, გაადიდეთ პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა! უზრუნველვყოთ პირუტყვის კარგი გამოზამთრება! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეცხოველეობის მეტი პროდუქტები!

43. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! გააფართოეთ ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება! გაადიდეთ ამ კულტურების მოსავლიანობა, დანერგეთ წარმოებაში მექანიზაცია და მოწინავე აგროტექნიკა!

44. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებო! იბრძოლეთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის! უზრუნველვყოთ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების თავის დროზე შეკეთება!

45. საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! გაადიდეთ მინდვრების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა! გააუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია და ტექნიკის გამოყენება, შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება! გადავაქციოთ ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო მაღალსასაქონლო მეურნეობად!

46. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! გაადიდეთ სახალხო მოხმარების საქონლის, სამეურნეო ინვენტარისა და საშენი მასალების წარმოება! გააუმჯობესეთ ნაწარმის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება, უკეთ გამოიყენეთ ადგილობრივი ნედლეული! გააფართოეთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი, გააუმჯობესეთ მათი მუშაობა!

47. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააჩაღეთ საბჭოთა ვაჭრობა ქალაქად და სოფლად, მიაღწიეთ იმას, რომ დაკმაყოფილდეს მშრომელთა მოთხოვნილება საჭირო საქონელზე! იბრძოლეთ საბჭოთა ვაჭრობის კულტურის ამაღლებისათვის! აუმჯობესეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის ორგანიზაცია!

48. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ ტვირთის გადაზიდვის გადიდებისა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის! მიაღწიეთ ვაგონების ტვირთამწეობის მთლიანად გამოყენებას, მატარებელთა სიჩქარის გადიდებას, ვაგონებისა და ლოკომოტივების ბრუნვის დაჩქარებას! უზრუნველვყოთ რკინიგზების ზუსტი და შეუფერხებელი მუშაობა ზამთრის პირობებში!

49. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! იბრძოლეთ ტვირთის გადაზიდვის გეგმის შესრულებისათვის! უფრო გაბედულად დანერგეთ ფლოტისა და ნავსადგურთა ექსპლოატაციის მოწინავე მეთოდები! უზრუნველვყოთ ფლოტის სანიმუშო მომზადება 1955 წლის ნავიგაციისათვის!

50. საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკებო! გაადიდეთ ტვირთების გადაზიდვა, გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! უკეთ გამოიყენეთ საავტომობილო ტრანსპორტი, სანიმუშო წესრიგში იქონიეთ გზატკეცილები! გააფართოეთ ახალი გზების მშენებლობა!

51. კავშირგაბმულობის მუშაკებო! დაუცხრომლად განავითარეთ და აუმჯობესეთ კავშირგაბმულობის საშუალებანი! მიაღწიეთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს უნაკლო მუშაობას! აუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

52. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! აუმჯობესეთ სახელმწიფო აპარატის მუშაობა, აღკვეთეთ ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება! იბრძოლეთ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვისათვის! გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, მივაღწიოთ სახელმწიფო აპარატის გაიაფებას და მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას!

53. სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკებო! წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა! უფრო გაბედულად გააჩაღეთ მეცნიერული მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა! გააძლიერეთ საბჭოთა მეცნიერების როლი სახალხო მეურნეობის განვითარებასა და ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში! გააუმჯობესეთ სპეციალისტების მომზადება!

54. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! იბრძოლეთ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის!

ამაღლეთ თქვენი შემოქმედების იდეური და მხატვრული დონე! შექმენით ჩვენი დიდი ხალხის შესაფერისი ნაწარმოებნი!

55. სახალხო განათლების მუშაკებო! აუმჯობესეთ სკოლაში სწავლებისა და აღზრდის ხარისხი! აღზარდეთ ბავშვები საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების, ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით! მოამზადეთ სოციალისტური საზოგადოების კულტურული, განათლებული და შრომისმოყვარე მოქალაქენი, კომუნიზმის აქტიური მშენებელნი!

56. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ და განავითარეთ სახალხო ჯანმრთელობის დაცვა. აამაღლეთ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობის კულტურა! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების მიღწევები!

57. საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! გავრცელეთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

58. საბჭოთა ქალებო! მიაღწიეთ ახალ წარმატებებს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ ბავშვების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

59. გაუმარჯოს საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, საბჭოთა ახალგაზრდობის ორგანიზატორს, კომუნისტური პარტიის აქტიურ თანაშემწესა და რეზერვს!

60. ქალიშვილებო და ჭაბუკებო, ჩვენო სახელოვანნო საბჭოთა ახალგაზრდობავ! უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში! მტკიცედ შეისწავლეთ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დაეუფლეთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცოდნას! იყავით მტკიცე და გაბედულნი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

61. პიონერებო და მოსწავლეებო! ბეჯითად და გულმოდგინედ დაეუფლეთ ცოდნას! იყავით შრომისმოყვარე და დისციპლინიანი, მიაღწიეთ წარმატებებს სწავლაში!

62. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აყვავებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

63. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

64. გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

65. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

66 მარქს—ენგელს — ლენინ—სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ტაჯიკეთის სსრ უმაღლეს საბჭოს ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ საბჭოთა ტაჯიკეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს სახელოვან იუბილეს — ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ოცდამეხუთე წლისთავს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ გაათავისუფლა ტაჯიკი ხალხი ფეოდალი ბაეებისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან, მეფის თვითმპყრობელობის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრისაგან, ტაჯიკეთის მშრომელებს თავისუფალი, სასახარულო ცხოვრების მშენებლობის ფართო შესაძლებლობანი დაუსახა.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ტაჯიკმა მშრომელებმა სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხის დახმარებით მოიპოვეს თავიანთი სახელმწიფოებრიობა, ყოფილი მეფის იმპერიის განაპირა კუთხე, რომელიც წარსულში მეურნეობისა და კულტურის მხრივ ჩამორჩენილი იყო, გადაქციეს თავისუფალ და აყვავებულ, ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ რესპუბლიკად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა და დავაჟკაცდა ტაჯიკეთის მუშათა კლასი, რომელმაც მშრომელ გლეხობასთან კავშირით დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა ტაჯიკეთის მშრომელებმა შექმნეს მრავალდარგოვანი მრეწველობა. წვრილი კუსტარულ-ხელოსნური სახელოსნოების ნაცვლად რესპუბლიკაში აშენდა სამთამადნო, ქვანახშირის, ლითონდამამუშავებელი, ბამბისსაწმენდი, საფეიქრო, კვების მრეწველობის მსხვილი საწარმოები, შექმნილია ენერგეტიკული ბაზა.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ უზრუნველყო ის, რომ სწრაფი ტემპით განვითარდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა, რომელიც აღჭურვილია უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და აქვს თანამედროვე საირიგაციო ნაგებობათა ფართო ქსელი. სოფლის მეურნეობის მშრომელები აქტიურად იბრძვიან კოლმეურნეობებისა და სბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის და უწინარეს ყოვლისა ტაჯიკეთის ეკონომიკის წამყვანი დარგის — მეხამბეობის ახალი მკვეთრი აღმავლობისათვის. უკანასკნელი ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ბევრად გაიზარდა ბამბის ნათესი ფართობები, ხოლო ნედლი ბამბის საერთო მოსავალი თითქმის ერთიორად გადიდდა. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაითქვეს სახელი თავიანთი შესანიშნავი ოსტატობით ტაჯიკმა მეხამბეებმა.

განუხრელად იზრდება და იფურჩქნება ტაჯიკი ხალხის ფორმათ ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა. ყოფილი ბნელი და ჩამორჩენილი მხარე — ტაჯიკეთი ახლა მოწინავე სბჭოთა კულტურულ რესპუბლიკაა. ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში შეიქმნა სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი, მუშაობს სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, თეატრები, ასობით კლუბი, ბიბლიოთეკები, ქოხსამკითხველოები და კულტურის სახლები. რესპუბლიკაში გაიზარდა სბჭოთა ტაჯიკი ინტელიგენციის — ინჟინრების, ტექნიკოსების. აგრონომების, მასწავლებლების, ექიმების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების მრავალათასიანი რაზმი.

საბჭოთა ხელისუფლებამ მთლიანად გაათავისუფლა წინათ ჩაგრული და უუფლებო ტაჯიკი ქალები, რომლებიც ახლა მამაკაცთა თანაბრად აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წარმატებებს უსურვებენ საბჭოთა ტაჯიკეთის მშრომელთ რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ისინი სსრ კავშირის ყველა ხალხთა ერთსულოვან ოჯახში ახალ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დიად საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

დეკეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ იმ მისალმებისათვის, რომელიც მთავრობის დელეგაციამ გადმოგვცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავის გამო.

მუშებისა და გლეხების ხელისუფლება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კვლავაც განმტკიცდება, ეყრდნობა რა გერმანიის მუშათა კლასის მძლავრ ენერგიასა და ინიციატივას, უკვე მიღწეულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ წარმატებებს.

ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის გერმანელი პატრიოტებისათვის სულ უფრო მეტად გასაგები ხდება, თუ რა საშიშროებას უქმნის დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და გერმანიის მომავალს.

ისინი სულ უფრო მტკიცედ იბრძვიან მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის რაც შეიძლება მალე გაერთიანებისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ნდობა და მეგობრობა გერმანელი ხალხისათვის მუდამ დიდი ფასდაუდებელი დახმარება და ვალია.

გერმანელმა პატრიოტებმა დიდი სიხარულითა და მადლობით მიიღეს ამხანაგ მოლოტოვის ამასწინანდელი დაპირება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ყოველნაირად დაუჭერს მხარს გერმანელი ხალხის დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე ძალებს მათ ბრძოლაში გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის. ისინი დაუცხრომლად იბრძოლებენ სამართლიანი საქმისათვის — გერმანიის საკითხის გადაჭრისათვის და ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის ბრძოლით თავიანთ წვლილს შეიტანენ ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

1954 წლის 21 ოქტომბერი.
ბერლინი.

კრებული „ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის შესახებ"

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ „მოლოდინი გვარდიამ" მასობრივი ტირაჟით გამოუშვა კრებული „ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობა შესახებ".

წიგნი შეიცავს ვ. ი. ლენინის სიტყვებს, სტატიებსა და წერილებს ახალგაზრდობის შესახებ. წიგნში შეტანილია აგრეთვე ნაწარმოებნი, რომლებშიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აშუქებს ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებს ან ისეთ საკითხებს, რომლებიც ახალგაზრდობას ეხება.

როგორც წესი, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები მთლიანად იბეჭდება კრებულში. იმ შემთხვევაში. როცა ვლადიმერ ილიას-ძეს ახალგაზრდობაზე აზრი გამოთქმული აქვს დიდი მოცულობის ნაშრომებში, იბეჭდება ამ ნაშრომთა ნაწყვეტები, რომლებსაც დამთავრებული ხასიათი აქვთ.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი წიგნში ოთხ კარად კარის განაწილებული „ბავშვებისა და ახალგაზრდობის მდგომარეობა კაპიტალიზმის დროს", „მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა მეფის რუსეთში", „მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მონაწილეობა რევოლუციურ ბრძოლაში, ახალგაზრდობის რევოლუციური აღზრდა", „ახალგაზრდობის მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში და ახალი ადამიანის აღზრდა". კრებულს აქვს შენიშვნები და ვ. ი. ლენინის იმ ნაწარმოებთა ქრონოლოგიური საძიებელი, რომლებიც კრებულში შევიდა. წიგნში 319 გვერდია. (საკვლევი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა

საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი

23 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი ბ-ნი ლ. ჟოკსი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი უ. ჰეიტერი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ჩ. ბოლენი და გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის ნოტა, რომელიც წარმოადგენს პასუხს საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების 1954 წლის 10 სექტემბრის ნოტებზე.

ქვემოთ ქვეყნდება საფრანგეთის მთავრობის 1954 წლის 10 სექტემბრის ნოტის ტექსტი და საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 23 ოქტომბრის ნოტის ტექსტი.

საფრანგეთის მთავრობის 1954 წლის 10 სექტემბრის ნოტა

საფრანგეთის საელჩო ადასტურებს თავის პატივისცემას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი და პატივი აქვს აცნობოს მას შემდეგი.

1 — ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობებთან, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ სხვა მთავრობებთან, ავსტრიის მთავრობასთან და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობასთან კონსულტაციის დროს საფრანგეთის მთავრობამ უურადღებით შეისწავლა საბჭოთა მთავრობის 24 ივლისის ნოტა, აგრეთვე სიტყვიერი განცხადება, რომელიც ამ მთავრობის სახელით გაკეთებულ იქნა 4 აგვისტოს.

2 — ამ განცხადებების თანახმად, საბჭოთა მთავრობა განაახლებს თავის წინადადებებს, რომლებიც უკვე იყო გულდასმით განხილვის საგანი ბერლინის თათბირზე. საფრანგეთის მთავრობა აღიარებს ევროპის უშიშროების პრობლემის განსაკუთრებულ ხასიათს, მაგრამ ამ პრობლემის სასარგებლო განხილვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იქნება ყველა დაინტერესებული მხარის ძირითადი ინტერესების პატივისცემა. უშიშროების მიღწევა ევროპაში შეუძლებელი იქნებოდა ისეთი საერთო შეთანხმების ხელმოწერირი, როგორსაც გვთავაზობს საბჭოთა მთავრობა. მისი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის შედეგად, რომელთა შორის ყველაზე გადაუდებელია გერმანიისა და ავსტრიის პრობლემები.

3 — საფრანგეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავ ამტკიცებს, რომ ატლანტიკის ორგანიზაცია არის „აგრესიული სამხედრო დაჯგუფება". ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომლის წმინდა თავდაცვითი მიზნები სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების წესდებას, შეიქმნა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო დასავლეთის დემოკრატიების დაცვა იმ საფრთხისაგან, რომელიც წარმოიშვა 1945 წელს იმასთან დაკავშირებით, რომ აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნა ძლიერ შეიარაღებული საბჭოთა დაჯგუფება. ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია ახლა იმ სახელმწიფოთა თავისუფალი ასოციაციაა, რომლებსაც აქვთ საერთო მისწრაფებანი და მარტო სამხედრო კავშირით გაერთიანებული როდი არიან. საქმე არ შეიძლება ეხებოდეს არც ამ კონცეპციის შეცვლას, არც მასზე უარისთქმას.

4 — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შეერთება თავდაცვითს სისტემასთან, რომელიც აერთიანებს დასავლეთ ევროპის სხვა მშვიდობიან სახელმწიფოებს — შეერთება, რომელიც ხდება აღმოსავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების დიდი ხნის შემდეგ — და რომელიც სრულიად არ წარმოადგენს საფრთხეს ევროპის უშიშროებისათვის, მიზნად ისახავს თავიდან აგვაცილოს ყოველგვარი დამოუკიდებელი მიმართვა მუქარისადმი ან ძალის გამოყენებისადმი. ეს შეერთება უშიშროების საუკეთესო გარანტიაა გერმანიის ყველა მეზობლისათვის, თვითონ გერმანიისა და მთელი ევროპისათვის.

5 — საბჭოთა მთავრობას არც თავის 24 ივლისის ნოტაში, არც 4 აგვისტოს სიტყვიერ განცხადებაში არ შეუტანია ახალი წინადადებანი გერმანიის პრობლემის გადასაჭრელად. უშიშროების შესახებ ხელშეკრულების საბჭოთა პროექტის მიხედვით გერმანიის არსებული დაყოფა კვლავ დარჩებოდა გერმანელი ხალხის მისწრაფების მიუხედავად. საფრანგეთის მთავრობას თავის მხრივ მიაჩნია, რომ გერმანია რაც შეიძლება მალე კვლავ უნდა გაერთიანდეს თავისუფლების პირობებში. ეს გაერთიანება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მთელ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების გზით საერთაშორისო კონტროლის დაწესებით. საფრანგეთის მთავრობა წინანდებურადვე მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ამ არჩევნების სწრაფად მოწყობის კონკრეტული გეგმის საფუძველზე, რომელიც დასავლეთის სამმა სახელმწიფომ წარუდგინა ბერლინის თათბირს.

6 — ევროპის უშიშროების გზაზე წინსვლისათვის ყველაზე მარტივ ნაბიჯად რჩება ავსტრიის საკითხის სწრაფად მოწესრიგება. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის მთავრობა კვლავ გამოთქვამს აზრს, რომ ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების დადება არ უნდა იყოს დამოკიდებული, როგორც ამას საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, ევროპის საერთო მოწესრიგებაზე, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებაზე ან რომელიმე სხვა საკითხზე, რომელსაც არა აქვს კავშირი ავსტრიის ხელშეკრულებასთან. ბერლინში საფრანგეთის მთავრობამ მოითხოვა, თუ საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ დათანხმდებოდა, მიღებული ყოფილიყო საბჭოთა ტექსტი ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების ყველა მუხლისა, რომლებიც წინათ სადავო იყო. იგი მზად არის განაახლოს ეს წინადადება. თუ საბჭოთა მთავრობა დათანხმდება ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ასეთი რედაქციით, მაშინვე დაიდებოდა შეთანხმება იმ მიზნით, რომ ავსტრიას დაუბრუნდეს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, რასაც მას შეჰპირდნენ 1943 წლიდან.

7 — შეთანხმება განიარაღების საკითხზე, უეჭველია, ხელს შეუწყობდა ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც საჭიროა ევროპის უშიშროების პრობლემის სასარგებლო განხილვისათვის. საფრანგეთის მთავრობას სურს მიაღწიოს იმას, რომ აიკრძალოს ყველა სახეობათა ატომური და წყალბადის იარაღის და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობათა იარაღის გამოყენება და წარმოება, აგრეთვე მისი ფლობა იმ სისტემის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთდროის მნიშვნელოვან შემცირებას საერთო შეთანხმებით დაწესებულ დონემდე. მთელი ეს პროგრამა განხორციელდებოდა საერთაშორისო კონტროლით და შეთანხმებით დაწესებული ეტაპების მიხედვით. გაერთიანებული ერების შესაბამის ქვეკომიტეტში ამასწინანდელი დისკუსიის დროს საფრანგეთის მთავრობამ წამოაყენა წინადადებანი, რომლებითაც შეიძლებოდა პროგრესის მიღწევა. თუმცა საბჭოთა მთავრობამ მაშინ საჭიროდ არ მიიჩნია მხედველობაში მიეღო ეს წინადადებანი, მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ეცდება გამონახოს მისაღები და ეფექტიანი შეთანხმება. მას იმედი აქვს, რომ საბჭოთა მთავრობა მოისურვებს ხელი შეუწყოს ამას.

8 — ასეთია პრობლემები, რომელთა პრაქტიკული გადაჭრა საჭიროა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ევროპაში ნამდვილი უშიშროების დამყარება. ახალი მოლაპარაკება სასარგებლო იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ იყოს შეთანხმების იმაზე უკეთესი პერსპექტივები, რომლებიც გამოვლინდა ბერლინში გულმოდგინედ განხილვის დროს ან საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ განცხადებებში. საფრანგეთის მთავრობას კვლავ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გააკეთოს ყველაფერი, რაც კი ძალუძს, ამ სხვადასხვა საკითხში პროგრესის მისაღწევად. მას იმედი აქვს, რომ საბჭოთა მთავრობა მოისურვებს ხელი შეუწყოს ამ პროგრესს:

ა) იმით, რომ ხელს მოაწერს ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებას იმ მუხლების საბჭოთა რედაქციით, რომლებიც წინათ სადავო იყო, რის შესახებაც ბერლინის თათბირზე საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკისა და ავსტრიის მთავრობებმა შეიტანეს წინადადება, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა ამჟამად დაეთანხმება;

ბ) იმით, რომ დათანხმდება თავისუფლების პირობებში გერმანიის გაერთიანების გზაზე პირველ მნიშვნელოვან ეტაპად განხორციელდეს თავისუფალი არჩევნები იმ ბაზაზე, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ ბერლინში წარადგინა.

თუ ამ მიმართულებით შეიძლება მივაღწიოთ პროგრესს, საფრანგეთის მთავრობა მზად იქნება დათანხმდეს, რომ მოწვეულ იქნას საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ამ პრობლემათა მოწესრიგების დასამთავრებლად და ამის შემდეგ ევროპის უშიშროების ყველა სხვა ასპექტის შესასწავლად.

ამავე დროს საფრანგეთის მთავრობას მხურვალედ სურს, რომ განიარაღების შესახებ გაერთიანებული ერების ფარგლებში დაწყებულ მოლაპარაკებას მოჰყვეს შეთანხმება.

საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 23 ოქტომბრის ნოტა

საფრანგეთის მთავრობის ამა წლის 10 სექტემბრის ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

სსრ კავშირის მთავრობამ 24 ივლისის ნოტაში წინადადება მისცა საფრანგეთის მთავრობას, აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს, მოწვეულ იქნას სრულიად ევროპის თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხის განსახილველად. 4 აგვისტოს სსრ კავშირის მთავრობამ წინადადება მისცა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს განეხილათ ეს საკითხი წინასწარი წესით ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, აგრეთვე ამ თათბირზე განეგრძოთ გერმანიის საკითხის განხილვა.

ევროპის უშიშროების პრობლემის გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით სბჭოთა მთავრობამ შეიტანა „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების" თავისი პროექტი, და ამასთან ერთად გამოხატა, რომ მზად არის განიხილოს სხვა წინადადებანიც ამ საკითხზე.

პროექტი ითვალისწინებს, რომ ევროპაში შეიქმნას კოლექტიური უშიშროების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობის შენარჩუნებას ევროპის ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს ღონისძიებათა გაერთიანებით, ზიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა. სრულიად ევროპის ხელშეკრულების სბჭოთა პროექტს საფუძვლად უდევს მისი მონაწილეების კოლექტიური მოქმედების პრინციპი მუქარის და ხელშეკრულების მონაწილე ყოველ სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ, აგრეთვე ეკონომიურ დარგში თანამშრომლობის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ ყოველი სახელმწიფოს აგრესიის ყოველგვარი ცდა დაუყოვნებლივ გამოიწვევდა კოლექტიური სანქციების გამოყენებას აგრესორის წინააღმდეგ.

ამით სრულიად ევროპის ხელშეკრულების სბჭოთა პროექტი შეიცავს საფრანგეთისა და პოლონეთის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის, ევროპის ყველა დიდი და მცირე სახელმწიფოს უშიშროების რეალურ გარანტიას. ამავე დროს იგი ქმნის უაღრესად ხელშემწყობ პირობებს გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენისათვის, გერმანიის სახელმწიფოს თავისუფალი, მშვიდობიანი განვითარებისათვის.

არც ერთ სახელმწიფოს, რომელიც ნამდვილად ესწრაფვის ევროპის მშვიდობის განმტკიცებას, არ შეუძლია უარყოფითად მოეკიდოს ევროპის სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობას სრულიად ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნაში. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი წინანდებურად იმის მოახრეა, რომ მხოლოდ ევროპის სახელმწიფოთა ერთობლივ ღონისძიებებს შეუძლიათ უზრუნველყონ ევროპის უშიშროება.

გამოთქვამს რა თავის უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა ამ პროექტისადმი, საფრანგეთის მთავრობას ამასთან არ შეუტანია რაიმე წინადადება ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. საფრანგეთის მთავრობას არა მარტო არ შეუტანია თავისი წვლილი ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, არამედ, პირიქით, როგორც უკანასკნელი დროის ფაქტები მოწმობენ, კვლავ ადგას ევროპაში სამხედრო დაჯგუფებათა შეკოწიწების გზას.

ამასთან საფრანგეთის მთავრობამ კვლავ დაიცვა ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკი, რომელიც თითქოს თავდაცვითი მიზნებს ისახავს, თუმცა ამ დაჯგუფების აგრესიულ ხასიათს მისი დღევანდელი სახით მოწმობს მრავალი ფაქტი. ეს სამხედრო დაჯგუფება რომ მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, სბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ — ამას ვერ მალავენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ხელმძღვანელები. 10 სექტემბრის ნოტაში არის ცდა, რომ ამ ბლოკის შექმნა გამართლებულ იქნას იმის დამოწმებით, რომ აღმოსავლეთ ევროპაში არის „ძლიერ შეიარაღებული სბჭოთა დაჯგუფება". ეს ცდები სავსებით უსაფუძვლოა, რამდენადაც ასეთი დაჯგუფება სინამდვილეში არ არსებობს. ის ფაქტი, რომ ამჟამად ამზადებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმების განხორციელებას და ნიშ შეუვანას ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფებაში, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ საქმე ეხება ამ დაჯგუფების აგრესიულობის შემდგომ გაძლიერებას.

ამ პირობებში სბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია კვლავ მიაქციოს საფრანგეთის მთავრობის ყურადღება იმას, რომ სამხედრო დაჯგუფებების შექმნა ხელს ვერ შეუწყობს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. ევროპის სახელმწიფოთა ასეთი დაჯგუფებების შექმნა, რომლებიც მიმართულია ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, შემდგომ აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას და პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროპის მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. ადგას რა ამ გზას და უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის ორგანიზაციაში, საფრანგეთის მთავრობა პასუხისმგებლობას კისრულობს ასეთი პოლიტიკის შედეგებისათვის, პოლიტიკისა, რომელიც შეუთავსებელია ევროპის უშიშროების ინტერესებთან.

ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გერმანიის პრობლემის მოწესრიგებას. ეს ნიშნავს, რომ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანაა გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა, და მასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება.

არ შეიძლება გადავდოთ გერმანიის გაერთიანების ამოცანის გადაწყვეტა, გერმანიისა, რომელიც ჯერ კიდევ გათიშულია ორ ერთიანეთის საწინააღმდეგო ნაწილად. ევროპის სახელმწიფოთა ეროვნული უშიშროების ინტერესები, ისევე როგორც თვით გერმანელი ხალხის ინტერესები, მოითხოვენ გადაიჭრას გერმანიის გაერთიანების საკითხი, რათა ევროპის ხალხები დარწმუნებული იყვნენ, რომ გაერთიანებული გერმანია ხელში კი არ ჩაუვარდება მშვიდობის დაუძინებელ მტრებს გერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს, არამედ ნტკიცედ დაადგება მშვიდობიანი განვითარებისა და სხვა ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების გზას.

ისევე როგორც წინათ, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის საჭიროა მოეწყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები. ამ არჩევნებში გერმანელ ხალხს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გამოთქვას თავისი თავისუფალი ნება, რომ აღორძინდეს ერთიანი გერმანია როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფო.

ოთხი სახელმწიფოს ბერლინის თათბირზე არ ყოფილა მიღწეული შეთანხმება გერმანიის ერთიანობის აღსადგენად სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის შესახებ. ამას უწინარეს ყოვლისა ხელი შეუშალა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის გეგმებმა, რომლებიც ოთვალისწინებდნენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და ამ სამხედრო დაჯგუფებაში მის შეყვანას. იმ გარემოებამ, რომ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის შესახებ, შესაძლებელი გახადა ოთხი სახელმწიფოს პოზიციათა დაახლოება გერმანიის გაერთიანებისა და ამ მიზნით სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის საკითხში.

საბჭოთა მთავრობა მზად არის კვლავ განიხილოს, ზემოაღნიშნულ ახალ გარემოებათა გათვალისწინებით, წინადადებანი სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის შესახებ, რომლებიც ბერლინის თათბირზე ინგლისმა შეიტანა და რომლებსაც მხარი დაუჭირეს საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამასთან საბჭოთა მთავრობა იმას ოთვალისწინებს, რომ განხილულ იქნება აგრეთვე საბჭოთა კავშირის შესაბამისი წინადადებანი.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ სახელმწიფოთა შორის ამ საკითხში თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა არსებობს, თუ გავითვალისწინებთ იმ უდავო დებულების აღიარებას, რომ მთავარი ამოცანაა გერმანიის გაერთიანება მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებით მიაქციოს ყურადღება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებაში მისი შეყვანის იმ ახალ გეგმებს, რომლებიც გამოიჩეკა ცხრა ქვეყნის ლონდონის თათბირის შემდეგ, რაც ამა წლის 3 ოქტომბერს დამთავრდა, აგრეთვე პარიზის სეპარატულ თათბირებთან დაკავშირებით, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს.

იმ ვალდებულებათა მიუხედავად, რომლებიც საფრანგეთმა, ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირთან ერთად იკისრეს იმის შესახებ, რომ არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა ლონდონსა და პარიზში სეპარატული შეთანხმების თანახმად, უკვე უახლოეს ხანში უნდა შეიქმნას დასავლეთ გერმანიის არმია 500 ათასი კაცის შემადგენლობით და მისი მრავალრიცხოვანი ავიაცია, სატანკო შენაერთები და მათი სამხედრო შტაბები. დასავლეთ გერმანიის და უწინარეს ყოვლისა რურის — მძიმე მრეწველობას კვლავ გარდაქმნიან იარაღის მასობრივი წარმოებისათვის. დასავლეთ გერმანიის შეიარაღებულ ძალებს უხელმძღვანელებენ იგივე გენერლები, რომლებიც ჰიტლერულ არმიას ქმნიდნენ და ჰიტლერთან ერთად ახორციელებდნენ აგრესიას ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ინგლისის და ევროპის ბევრი სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ბონის მთავრობის დღევანდელი ფორმალური ვალდებულებანი დასავლეთ გერმანიის არმიის რიცხვისა და მისი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ სერიოზულად არ შეიძლება მივიღოთ. როგორც ამასწინანდელი გამოცდილება მოწმობს, დაიწყებენ რა თავიანთი კორპუსებისა და დივიზიების შექმნას, გერმანელი მილიტარისტები და რევანშისტები არაფერს არ მოერიდებიან, რათა მიაღწიონ თავიანთი არმიის რიცხვისა და შეიარაღების გადიდებას.

ლონდონის გადაწყვეტილებანი გზას უხსნიან გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას. ამის შემდეგ დასავლეთგერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს ხელფეხი გაეხსნებათ ევროპაში

(დასასრული მე-3 გვერდზე).

საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 23 ოქტომბრის ნოტა

საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 23 ოქტომბრის ნოტის დასასრული

მათი აგრესიული პოლიტიკის განსახორციელებლად. ამრიგად დასავლეთი გერმანია ევროპაში ახალი ომის სამიშკერად იქცევა.

ლონდონის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ, რომ რემილიტარიზებული დასავლეთი გერმანია შევიდეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებაში, რომელიც უპირისპირდება ევროპის სხვა სახელმწიფოებს. ამჯერად დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს — საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის წინათ დასახული სამხედრო დაჯგუფების ნაცვლად, გათვალისწინებულია შეიქმნას იმავე სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფება ინგლისის მონაწილეობით. საზოგადოებრივი აზრის მოტყუება იქნება ვამტკიცოთ, თითქოს ახალი სამხედრო დაჯგუფების შექმნის ლონდონის გეგმა უფრო შეესაბამებოდეს ევროპის ხალხთა უშიშროების ინტერესებს, ვიდრე „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმა, რომელიც ჩაიფუშა.

ლონდონის გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე დასავლეთ გერმანიის შეყვანას ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, რაც გერმანელ მილიტარისტებს საშუალებას აძლევს პირდაპირი გავლენა მოახდინონ ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფების აგრესიულობის შემდგომი გაძლიერების მხრივ. სულ ამ ცოტა ხნის წინათ საფრანგეთის ეროვნული კრება შეუწყნარებლად აღიარებდა დასავლეთ გერმანიის მონაწილეობას ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, შეუთავსებლად მიიჩნდა რა ეს საფრანგეთის უშიშროების ინტერესებთან. ევროპის უშიშრობის ინტერესებთან ძალიან უფრო შეუთავსებელია ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფებაში რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის შეყვანა, რასაც ლონდონის შეთანხმება ითვალისწინებს.

ეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხელფეხს უხსნიან გერმანელ მილიტარისტებს, ნაკარნახევია იმ სახელმწიფოთა აგრესიული წრეების მიერ, რომლებიც მსოფლიო ბატონობას ესწრაფვიან ყბადაღებული „ძალის პოლიტიკის“ განხორციელების საფუძველზე.

ლონდონის შეთანხმებანი შეუთავსებელია აგრეთვე გერმანელი ხალხის სუვერენულ უფლებათა აღდგენასთან. ნამდვილად ამ შეთანხმებებს მოჰყვება არა ოკუპაციის რეჟიმის შეწყვეტა, როგორც სურთ ეს დასახონ, არამედ საოკუპაციო ჯარების დატოვება დასავლეთ გერმანიაში 1998 წლამდე, ესე იგი ამ საუკუნის დამლევამდე. დასავლეთი გერმანია კაბალური „ბონის ხელშეკრულების“ პირობებით შებოჭილი რჩება.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ლონდონის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მოჰყვება გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა და დასავლეთ გერმანიის შეყვანა აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში, ძირეულად ეწინააღმდეგება მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს და აძლიერებს ევროპაში ახალი ომის საფრთხეს.

თუ ეს გადაწყვეტილებანი განხორციელდა, დასავლეთ გერმანიას ველარ მივიჩნევთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ, რაც დიდი ხნით შეუძლებელს გახდის გერმანიის ერთიანობის აღდგენას.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ საფრანგეთის მთავრობის თანხმობა ლონდონის გადაწყვეტილებათა მიღებისა და განხორციელების შესახებ ამკარად ეწინააღმდეგება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულებას კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ. მაშინ როცა ხელშეკრულება ავალებს ორივე მხარეს „ერთობლივად განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიებანი გერმანიისაგან გამომდინარე ყოველი ახალი საფრთხის აღმოსაფხვრელად და ხელი შეუშალონ ისეთ მოქმედებას, რომელიც შესაძლებელს გახდის აგრესიის ყოველ ახალ ცდას მის მხრივ“, — ლონდონის გადაწყვეტილებანი პირდაპირ მიმართული არიან გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისაკენ და ამრიგად საფრთხეს უქმნიან ევროპის ხალხთა უშიშროებას. მაშინ როცა საფრანგეთ-საბჭოთა ხელშეკრულება ავალებს ორივე სახელმწიფოს „არ დადონ რაიმე კავშირი და არ მიიღონ მონაწილეობა რაიმე კოალიციაში, რომელიც მიმართულია ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარის წინააღმდეგ“, ლონდონის გადაწყვეტილებათა განხორციელება იმის მომასწავებელი იქნება, რომ საფრანგეთი გერმანიის ორგანიზაციაში შეტანილია ამა წლის ივნისში და რომლებსაც მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ.

ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიხილავენ როგორც საფრანგეთ-ინგლისის წინადადებებს, ისე საბჭოთა კავშირის წინადადებებს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე, ამასთან საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა შესაბამისი საერთაშორისო კონვენციის საფუძვლად მიიღონ საფრანგეთისა და ინგლისის აღნიშნული წინადადებანი. ამრიგად ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში დაისახა მხარეთა პოზიციების დაახლოება. საფრანგეთის მთავრობა თავის 10 სექტემბრის ნოტაში აცხადებს, რომ ისწრაფვის ხელი შეუწყოს განიარაღების საკითხის გადაწყვეტას. მაგრამ არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს მოითხოვდე შეიარაღების საყოველთაო შემცირებას და ახორციელებდე დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას. ასეთი მოქმედება შეუთავსებელია.

ამ უკანასკნელ ხანს, როგორც ცნობილია, შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის გარკვეული შენელების მიღწევა. საბჭოთა მთავრობა იმას ითვალისწინებს, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხები დაინტერესებული არიან საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებით. მაგრამ ლონდონის გადაწყვეტილებანი არა მარტო ხელს არ უწყობენ ამას, არამედ, პირიქით, ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას.

ამჟამად ასეთი მდგომარეობა შეიქმნა:

ან ოთხი სახელმწიფო, რომლებსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ გერმანიის პრობლემის გადაჭრისათვის, ყოველ ღონეს იხმარს, რათა შეუდგნენ ყველაზე გადაუდებელი საკითხის — გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას, რითაც ესოდენ დაინტერესებულია გერმანელი ხალხი, და, ამასთანავე, ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი;

ან, თუ საქმე მივიდა გერმანიის მილიტარიზმის აღდგენამდე და აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში დასავლეთ გერმანიის შეყვანამდე, გერმანელი ერი დიდხანს დარჩება დანაწილებული, ხოლო რემილიტარიზებული დასავლეთი გერმანია პირდაპირ საფრთხეს შეუქმნის ევროპას მშვიდობას.

გერმანიის საკითხის მოწესრიგების ხელის შეწყობის მიზნით საბჭოთა მთავრობამ ბერლინის თათბირზე შეიტანა წინადადება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ტერიტორიებიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ, გარდა ზოგიერთი მკაცრად განსაზღვრული კონტინგენტისა. ეს წინადადება უკავშირდებოდა სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას და წინადადებას სრულიად გერმანიის არჩევნების შესახებ. მაშინ მიღწეული არ ყოფ შეთანხმება ამ საკითხზე.

ხელმძღვანელობს რა იმ მისწრაფებით, რომ გააადვილოს გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოების პირობები და ისი ერთიანული გაერთიანების ამოცანის გადაჭრა, საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს განიხილონ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ტერიტორიებიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხი და განახორციელონ საოკუპაციო ჯარების გაყვანა ახლავე, დაუყოვნებლივ. ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და ევროპის მშვიდობის განმტკიცებას.

ამ საკითხის გადაწყვეტასთან ერთად წარმოიშობა იმის აუცილებლობა, რომ სსრ კავშირს, საფრანგეთს, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მონაწილეობით მიღწეულ იქნას შეთანხმება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში გერმანიის ყველა სახეობის პოლიციის რაოდენობის, დისლოკაციისა და შეიარაღების შესახებ. ეს ბოლოს მოუღებდა ყოველგვარ საშიშროებას როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების მხრივ. ცნობილია, რომ აღმოსავლეთი გერმანია არ ეწინააღმდეგება ამ წინადადებას და არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ადგილზე შემოწმდეს ახლანდელი ნამდვილი მდგომარეობა. თუ დასავლეთი გერმანია თავს აარიდებს ამ წინადადების მიღებას, ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არ მისწრაფებას — დაიჭიროს ხელახლა შეიარაღების გეგმების განხორციელება.

ითვალისწინებს რა ზემოაღნიშნულს, საბჭოთა მთავრობას საფრანგეთის მთავრობის, ისევე როგორც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების განსახილველად შეაქვს წინადადება, რომ ამა წლის ნოემბერში მოწვეულ იქნას საფრანგეთის, ინგლისს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რათა განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

1) გერმანიის ერთიანობის აღდგენა მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე და სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობა;

2) ოთხი სახელმწიფოს საოკუპაციო ჯარების გაყვანა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ტერიტორიებიდან;

3) სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა, რომ განიხილოს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხი.

რაც შეეხება ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების საკითხს, როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ ამა წლის 12 აგვისტოს ნოტაში ავსტრიის მთავრობისადმი წინადადება შეიტანა, რომ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ელჩების ვენის თათბირმა ავსტრიის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად განიხილოს დარჩენილი მოუწესრიგებელი საკითხები, რომლებიც შეეხებიან სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტს, და სხვა საკითხები, რომლებიც უკავშირდებიან ავსტრიასთან ამ ხელშეკრულების დადებას.

ავსტრიის მთავრობის 12 ოქტომბრის საპასუხო ნოტაში ნათქვამია, რომ იგი მზად არის მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ თათბირში. მაგრამ, საბჭოთა მთავრობამ არ იცის საფრანგეთის მთავრობის თვალსაზრისი, ისევე როგორც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების თვალსაზრისი ამ საკითხზე. საბჭოთა მთავრობას სურს იცოდეს, ეთანხმებიან თუ არა სამი სახელმწიფოს მთავრობები იმას, რომ მათმა ელჩებმა მონაწილეობა მიიღონ ვენის თათბირში, რათა განიხილონ საკითხები, რომლებიც ეხება ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადებას.

საბჭოთა მთავრობის შესაბამისი საპასუხო ნოტები ეგზავნებათ აგრეთვე ინგლისის მთავრობას და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

შალვა დადიანი

დაბადების 80 წლისა და ლიტერატურულ-თეატრალური მოღვაწეობის 60 წლისთავის გამო

ფიზიკური ახოვნება, სიდარბაისლე, თავაზიანობა, ნამდვილი ვაჟკაცური შეხედულება — აი რა თვისებებით არის შემკული ჩვენი სახელოვანი და საყვარელი მწერალი შალვა დადიანი. ამასთან ბუნებას შალვა დადიანი დაუჯილდოებია გონებრივი და ზნეობრივი თვისებებითაც.

ჯერ-ერთი: ის აუცილებლად ინტელექტუალურად ძლიერი და მრავალმხრივია, ლიტერატურისა და ხელოვნების რამდენიმე დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელია: ის მწერალი, მსახიობი და რეჟისორია. ამ დარგებში მისი საქმიანობა და შემოქმედება ყოველთვის საჭირო და სასარგებლო ყოფილა ხალხისა და საზოგადოებისათვის. როგორც მწერალმა, შალვამ ნაყოფიერად იმოღვაწა. მან დაწერა რამდენიმე რომანი. განსაკუთრებით მშვენიერია მისი პატარ-პატარა ნოველები, ესკიზები. ყველა მისი ბელეტრისტული ნაწარმოების ენა უხადო და უნაკლოა, ლამაზი და ფერადოვანია.

შალვა დადიანის მხატვრულ შემოქმედებას უსათუოდ დიდი ღირებულება აქვს. ჩვენი ხალხი და სიტყვაკაზმული ლიტერატურის ისტორიკოსი მას უსათუოდ საპატიო ადგილს მიუჩენს ქართველ მწერალთა შორის.

შალვა დადიანი.

შალვა დადიანი ყურადღებას იმსახურებს როგორც დრამატურგი. მისმა მრავალმა პიესამ („გეგეჭკორი“, „მღვიმეში“, „გუშინდელნი“, „როს ნადინობდნენ“) თავის დროზე დადებითი როლი შეასრულა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ამ პიესების მთავარი ღირსება ის იყო, რომ მათი ავტორი ქადაგებდა ჰუმანურ იდეებს, იცავდა დემოკრატიის, ხალხის ინტერესებს, ამხილებდა დრომოჭმულ წოდების ფუქსავატობას, თვითმპყრობელობის ბოროტებასა და ვერაგობას. იდეური და მხატვრული თვალსაზრისით ამ პიესებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“. ამ პიესას უდავო მხატვრულ ღირსებასთან ერთად აკეთილშობილებს და ძალას აძლევს თემის აქტუალობა და ღირსება.

ტექნიკურად შ. დადიანის ყველა პიესა კარგად არის გაკეთებული, სცენიურია. ეს იმის შედეგია, რომ ავტორი თვითონ მსახიობია და სცენას კარგად იცნობს.

როგორც მსახიობი, შ. დადიანი თავის კოლეგებს შორის თუდამ შესამჩნევი იყო. იგი განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოხუცების, დარბაისელი ადამიანების როლში. როგორც განათლებული მსახიობი, შ. დადიანი ყველა როლს კეთილსინდისიერად ასრულებდა. მაყურებლებს ხიბლავდა თავისი გონიერი, დაკვირვებული თამაშით და ტკბილი ქართული მეტყველებით.

შ. დადიანი ცნობილია, როგორც რეჟისორი. ამ საქმიანობას ის გულმოდგინედ ასრულებდა წლების მანძილზე. როგორც მსახიობს და ქართული დასის ხელმძღვანელს, მას ბევრი გაჭირვება გამოუვლია, მაგრამ ეროვნული კულტურის აღორძინების ინტერესებით შთაგონებულ შალვას არასოდეს დაუყრია ფარ-ხმალი, რითაც თავის ამხანაგებსა და ხალხში ყოველთვის დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

მრავალფეროვანია შ. დადიანის მოღვაწეობა კულტურის დარგში. მის საჭირო და სასარგებლო მოღვაწეობას ამ დარგში ქართველი ხალხი დიდად აფასებს. შალვა დადიანის სახელი პოპულარულია საქართველოს ყველა კუთხეში.

თავის დროზე საკმაოდ განათლებულმა ნიკო დადიანმა ორიგინალურადაც აღზარდა თავისი შვილები (ქალვაჟი). ნიკომ არ მოისურვა შვილების ოფიციალურ სკოლაში შეყვანა. დედით ადრე დაობლებულ შვილებს თვითონ ზრდიდა და ასწავლიდა სახლში. ვინ არ იცის, რა მძიმე და ძნელია საკუთარი შვილების მასწავლებლობა: განსაკუთრებული ენერგია, მოთმინება, პედაგოგიური ტაქტი და მიდგომაა საჭირო, რომ მამის მასწავლებლობამ საჭირო ნაყოფი გამოიღოს, მიზანს მიაღწიოს.

ნიკოს თავისი შვილები არ გაუგზავნია არც რუსეთში, არც საზღვარგარეთ. ცხოვრობდნენ თბილისში, საკუთარ ოჯახში. თბილისში ნიკომ შვილებს იმდენი ცოდნა მისცა, ისე მოამზადა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ვის წარმოუდგენია ან ვინ წარმოიდგენს დღეს, რომ შალვა დადიანს სკოლის კარიც არ უნახავს. ის ხომ ზედმიწევნით განათლებული ინტელიგენტია! მან სრულყოფილად იცის რუსული და ქართული ენა, რუსული და ქართული ლიტერატურა და ჰუმანიტარული საგნები! უეჭველია, რომ სწავლა-აღზრდის თავისებურმა სისტემამ დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდა ნიჭიერი შალვას მსოფლმხედველობისა და ხასიათის გამომუშავებაში. მას ასცდა მაშინდელი ოფიციალური სკოლის ბევრი უარყოფითი თვისებები.

როგორი იყო ოქტომბრის რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ შალვა დადიანის პოლიტიკური კრედო?

შალვა ოფიციალურად საქართველოში მომქმედ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა. ის იყო კულტურული მოღვაწე, ეროვნული საქმის მოყვარული, პროგრესული იდეების ხელოვნების მეშვეობით მქადაგებელი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში შალვა არ ეკუთვნოდა არც გამწყრალთა და არც გაბუტულთა ჯგუფებს. ის განაგრძობდა კულტურულ მუშაობას. მიუხედავად ამისა, მაშინდელი ქართული მწერლობის მესვეურები — „რაპელები“ შალვასაც, როგორც ძველ მოღვაწეს და მწერალს, ალმაცერად და უნდობლად უყურებდნენ. შალვასადმი მათს დამოკიდებულებაში დიდ როლს ასრულებდა სოციალური წარმოშობის საკითხი. „რაპელებს“ ვერ წარმოედგინათ, რომ შ. დადიანი შეძლებდა სოციალიზმის, კომუნიზმის იდეებამდე ამაღლებას. ისინი არ იცნობდნენ მას, როგორც მშრომელი ხალხის ქომაგს, მჩაგვრელების გამკიცხავს. ალბათ არ უნახავთ სცენაზე შ. დადიანის „ბიბილები“ („რაპელები“ „ბაგარიანი“ — ბიბილებს ეძახდნენ). შალვა დადიანმა დაწერა ისეთი მაღალიდეური პიესა, როგორიც არის „ნაპერწკლიდან“. პიესა ასახავს დიდი სტალინის პოლიტიკურ-რევოლუციურ მოღვაწეობას ბათუმში. ამ პიესამ დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ საბჭოთა კავშირში. შემოქმედებითი წარმატებით გამხნევებული შალვა დადიანი ახალგაზრდული ენერგიით ჩაება სოციალისტური მშენებლობის სამსახურში. გულწრფელმა საზოგადო მოღვაწემ და ნიჭიერმა კალმოსანმა შალვა დადიანმა პარტიისა და მთავრობის დიდი ნდობა დაიმსახურა. მწერალი ხანდაზმულობის პერიოდში ხალისით შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. ხანგრძლივი სამწერლო მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. უკვე მხცოვანი მოღვაწე, მისაბაძი ენერგიით და ხალისით, სიტყვით და საქმით განაგრძობს კომუნიზმის მიზნების განხორციელებისათვის აქტიურ ბრძოლას. როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო და რჩეული წარმომადგენელი შ. დადიანი არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მწერალი-დეპუტატი წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ხალხს, საბჭოთა სამშობლოს.

დღესაც უკვე 80 წლის მოხუცი სათავეში უდგას ერთ-ერთ დიდ საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციას — თეატრალურ საზოგადოებას და მხნედ წარმართავს მის რთულ საქმიანობას.

შალვა დადიანი, როგორც ადამიანი მისაბაძია. მისი თავაზიანობა, დარბაისლობა, უბრალოება და უანგარობა საყოველთაოდ ცნობილია. ქედმაღლობა, ბიუროკრატიული უსულგულო ფორმალიზმი, სამსახურებრივი მიუკარებლობა, ყოყოჩობა მას ორგანულად ეზიზღება. შ. დადიანი არასოდეს არ ყოფილა რომელიმე უპრინციპო დაჯგუფების ინიციატორი და მონაწილე. ამას მისი ბუნება ვერ იგუებს.

შალვა დადიანს არ ახასიათებს განდიდების მანია. ის სიბერემდე დარჩა მორიდებულ, თავმდაბალ, უპრეტენზიო პიროვნებად.

იაფფასიანი პოპულარობის, სახელის მოხვეჭის, გამდიდრების ხერხებს შალვა არასოდეს არ მიმართავდა.

შ. დადიანს რომ არ უყვარს განსაკუთრებული ზომების მიღებით და ხერხებით პოპულარობის მოპოვება, სახელის მოხვეჭა, ამას ადასტურებს ერთი პატარა, ბევრისთვის შეუმჩნეველი ფაქტი. როგორც ვიცით, შ. დადიანი 60 წელიწადია საზოგადო და სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. მას აქვს ბევრი მშვენიერი პატარ-პატარა მოთხრობა, ნოველა, ესკიზი, პიესა, რომანი, მაგრამ მკითხველს არ ახსოვს, რომ შალვას ნაწარმოებთა სრული კრებული გამოსულიყოს. ეს შესაძლოა მოსაწონი არ იყოს, მაგრამ ნათელს ჰფენს მწერლის ბუნებას.

შალვა დადიანი დაბადებულია 1874 წელს. ის უკვე 80 წლისაა. მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ, ჯანმრთელად და ჭარმაგად არის. სისხლის წნევას და გულის დაავადებას სრულებით არ უჩივის და თუ შემთხვევამ მოიტანა, ქართულ ლხინშიც ახალგაზრდებს არ ჩამორჩება. დღესაც ტვინით და კუნთით ღონიერი და ჯანმრთელია, შემოქმედებითი ცეცხლი ძველებურად ღვივის მის არსებაში.

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ჩვენი საყვარელი და სასიქადულო მწერალი.

იპ. ვართაგავა.

დამახინჯებანი ლანჩხუთის სავაჭრო ქსელში

ერთი შეხედვით ლანჩხუთის რაიკოოპკავშირში (გამგეობის თავმჯდომარე ე. ჩიჩუა) კარგი მდგომარეობაა. საქონელბრუნვის 9 თვის დავალება შესრულებულია 104 პროცენტით. მაგრამ ამ ციფრს იქით იმალება გაფლანგვა-განიავებისა და სოციალისტური ქონების დატაცების აღმაშფოთებელი ფაქტები. გასასყიდად შემოტანილ საქონელს სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ხშირად თავიანთ შორის ინაწილებენ.

მიმდინარე წლის სექტემბერში რაიკოოპკავშირის საქონელმცოდნემ ე. გოგუაძემ „გლავტექსტილტორგის“ ბათუმის ბაზიდან მიიღო 49 მეტრი ბოსტონი, საწყობს 37 მეტრი ჩაბარა, ხოლო დანარჩენის ფულადი ღირებულება შეიტანა. რაიკოოპკავშირის გამგეობის სხდომაზე „გამოირკვა“, რომ 12 მეტრი ბოსტონი ე. გოგუაძემ „გლავტექსტილტორგის“ ბაზის მუშაკთა მოთხოვნით თითქოს ბათუმში დატოვა. სინამდვილეში კი, როგორც „გლავტექსტილტორგის“ საწყობის გამგემ შ. ჩხაიძემ განაცხადა, ასეთი რამ არ მომხდარა.

საწყობისათვის ჩაბარებული 37 მეტრი ქსოვილი გაინაწილეს შემდეგმა მომხმარებლებმა: ლანჩხუთის კოოპერატივის ბუხჰალტერმა გ. ურუშაძემ, რაიკოოპკავშირის მუშაკებმა ვ. კეკელიძემ, ი. ზენაიშვილმა, ე. ურუშაძემ და სხვებმა.

ლანჩხუთის მუშათა კოოპერაციის სისტემაში გვხვდება მომხმარებლების ზომა-წონაში მოტყუების შემთხვევები. შემოწმებით გამოირკვა, რომ 4 ოქტომბერს გასასყიდად გამოტანილ 500-გრამიან ფუნთუშებს 30-40 გრამი აკლდა, ხოლო № 1 ჩაის ფაბრიკის სასადილოს ბუფეტში ფუნთუშებს უფაქტურად ყიდდნენ. ყოველივე ეს კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მ. ჯიჯიეიშვილის თვალწინ ხდებოდა.

მამათის და აცანის ჩაის ფაბრიკების მუშათა სასადილოებში ანტისანიტარია და ლოთობაა. ყოველივე ეს მუშათა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

საბჭოთა კულტურული ვაჭრობის წესების დამრღვევნი მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

შალვა დადიანის საიუბილეო საღამო

25 ოქტომბერს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის შალვა დადიანის დაბადების 80 წლისა და ლიტერატურულ-თეატრალური მოღვაწეობის 60 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მდივანი ირაკლი აბაშიძე. მოახსენებს თემაზე „შ. დადიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — წაიკითხავს ს. ჭილაია. მისასალმებელი სიტყვებით გამოვლენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების, თბილისის თეატრების, საქართველოს სარაიონო თეატრების, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის წარმომადგენლები.

საღამოს მეორე განყოფილებაში ნაჩვენები იქნება სცენები შ. დადიანის პიესებიდან თბილისის სხვადასხვა თეატრების დადგმების მიხედვით.

შ. დადიანის საიუბილეო საღამოები გაიმართება აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, სტალინირში, თელავსა და ცხინვალში.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამომცემლობა „ხელოვნება“ გამოსცემს შ. დადიანის ბიოგრაფიას (ავტორი ს. გერსამია) და მონოგრაფიას „შ. დადიანის დრამატურგია“ (ავტორი გ. ცაცანაშვილი). გამოცემა შ. დადიანის პიესების კრებული.

საიუბილეო საღამოს დასაწყისი 7 საათსა და 30 წუთზე. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

არჩევნების შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

ბერლინი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). ბერლინში გაიმართა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე 17 ოქტომბრის სახალხო არჩევნების შედეგთა შესახებ მოხსენება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. შტოფმა. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ ფრონტში შემავალი დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არჩევნებს მნიშვნელობა აქვს მთელი გერმანიისათვის. არჩევნებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ დასავლეთ გერმანიაში მშვიდობისმოყვარე გერმანელებმა დაინახეს, თუ რა ძალას წარმოადგენს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა; მათ დაინახეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის მტაკიცე ძალაა.

ქრისტიან დემოკრატთა კავშირის თავმჯდომარემ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ოტო ნუშკემ, ილაპარაკა რა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არჩევნების შედეგებზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ არჩევნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ არ მომხდარა რაიმე ინციდენტი. ეს, აღნიშნა ნუშკემ, საუკეთესო მხილებაა რეაქციული პრესის მტკიცებისა, თითქოს ამომრჩევლებზე ზეგავლენა მოეხდინოთ.

არჩევნების შედეგები, განაცხადა ნუშკემ, ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი წარმატებაა. არჩევნებმა დაადასტურა მშვიდობის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვახორციელებდით, კეთილდღეობის გაუმჯობესების პოლიტიკა; არჩევნები ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლებისადმი ნდობის გამოხატულებაა. ხალხმა გაიგო ეს, და ჩვენ უნდა გვახარებდეს წარმატება.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ იოჰანეს დიკმანმა, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პროფესორმა ერიხ კორენსმა, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარემ ჰერბერტ ვარნკემ, გლეხთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ერნსტ გოლდენბაუმმა, გერმანიის დემოკრატ ქალთა კავშირის თავმჯდომარემ ილზე ტილემ და სხვებმა.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). პარლამენტის კონსერვატორმა და ლეიბორისტმა წევრებმა გუშინ თემთა პალატაში გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების დისკრიმინაციული მოქმედება ინგლისის ფირმების მიმართ, რომლებსაც სურდათ დაედოთ კონტრაქტები ამერიკის შეერთებულ შტატებში მთელი რიგი კაბახალების მშენებლობის სამუშაოთა საწარმოებლად.

პარლამენტის წევრები აღნიშნავდნენ, რომ როცა ინგლისის ფირმებმა ამერიკელებს შესთავაზეს კონტრაქტის დადება უფრო დაბალ ფასებში, ვიდრე ამერიკის ფირმებმა, საქმეში ჩაერიენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ორგანოები, რომლებმაც გააუქმეს კონტრაქტები.

ვაჭრობის მინისტრმა ტორნიკროფტმა განაცხადა, რომ მის წარდგენებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ამ საკითხზე არაკეთილი შედეგი არ მოჰყოლია.

საერთაშორისო საჰაერაკო ტურნირი ბელგრადში

ბელგრადი, 22 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ პირველ ტურში გაიმართა ცხრა პარტია. პირველი შედეგი აღინიშნა კარაკლაიჩ-გლიგორიჩის (ორივე იუგოსლავი) პარტიაში. 22-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

იტალიელ ოსტატის პორეკის პარტია საბჭოთა გროსმაისტერ პეტროსიანთან 41-ე სვლაზე პეტროსიანის გამარჯვებით დამთავრდა.

ნედელკოვიჩ-ჯურაშევიჩის (ორივე იუგოსლავი) პარტიაში რთული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა ჯურაშევიჩმა. დიდხანს ეწეოდნენ მანვერგის ვეიდი (ინგლისი) და ტრიფუნოვიჩი (იუგოსლავია). პარტია ყაიმით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ ოსტატები რაბარი (იუგოსლავია) და ნიეერჰელტი (შვეიცარია).

სიცილიური პარტია გაითამაშა მილიჩმა (იუგოსლავია) არგენტინელი გროსმაისტერის პილნიკის წინააღმდეგ. პილნიკმა კარგად გაითამაშა მთელი პარტია და გაიმარჯვა.

ოიპენ (დასავლეთი გერმანია) — ბრონშტეინის (სსრ კავშირი) სიცილიურ პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერმა 41-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა.

ყაიმით დამთავრდა მატანოვიჩ-იანოშევიჩის (ორივე იუგოსლავი) პარტია.

ერთი პარტია დაუთავრებელი დარჩა.

ივკოვი მთელ პარტიაში ძლიერ ავიწროვებდა პირცის (ორივე იუგოსლავი) პოზიციას. შავებმა მოახერხეს გაეცვალათ ფიგურების უმრავლესობა, მიუხედავად ამისა, გადადებულ პარტიაში მათი თავდაცვა ადვილი როდია.

ჩერნია